


საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "საფეხბურთო კლუბი იბერია 1999"-ის
სპეციალური დანიშნულების ფინანსურ
ანგარიშგებაზე

2024 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
საბალანსო უწყისი და მთლიანი საკუთარი კაპიტალი	6
მოგება-ზარალის უწყისი	7
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	8
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9
1 ზოგადი ინფორმაცია	9
2 შედგენის საფუძველი	9
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	10
4 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	17
5 სხვა დებიტორული დავალიანება	17
6 მატერიალური მარაგები	18
7 ძირითადი საშუალებები	19
8 სხვა გრძელვადიანი აქტივები - აქტივის გამოყენების უფლება	20
9 ბანკისა და სხვა სესხები	20
10 სხვა მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები	21
11 საწესდებო კაპიტალი	22
12 ტელეტრანსლაციის უფლებები	22
13 უფასო სოლიდარობა, საპრიზოები	23
14 კომერციული - სხვა, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	23
15 სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	23
16 ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი	23
17 უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	23
18 სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არაა გამოყოფილი	24
19 მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან	24
20 ფინანსური ხარჯი	24
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25
22 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	25
23 ფინანსური ინსტრუმენტები	26
24 პირობითი მუხლები და განუსაზღვრელობები	26
25 ფინანსური საქმიანობიდან ვალდებულებების შეჯერება	27
26 დაკავშირებული მხარეები	27
27 საკონტროლო ურთიერთობები	27
28 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი, ისნის

რაიონი, ქეთევან წამებულის

გამზირი, № 54

ტ.: +995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: +995 322 604 406

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საფეხბურთო კლუბი იბერია 1999“-ის (შემდგომში „კომპანია“) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას (ბალანსს) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას (მოგება-ზარალის ანგარიში) და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვასა და სხვა ასხნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად, რაც დართული აქვს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას და შესაბამება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების დებულებებს - „კლუბების ლიცენზირების დებულებები უფას საკლუბო ტურნირში მონაწილეობისთვის“.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები და შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია მიღებული სესხების ნაშთების დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 11,800,957 ლარი (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 10,071,218 ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა მიღებული სესხები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მიღებულ სესხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ასს“). ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე“. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

აღრიცხვის საფუძვლები და გამოყენების შეზღუდვა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რომელიც თან ახლავს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას. შპს „საფეხბურთო კლუბი იბერია 1999“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების დებულების - „კლუბების ლიცენზირების დებულებები უფას საკლუბო ტურნირში მონაწილეობისთვის“

ფინანსური ანგარიშგების წესების შესაბამისად. შედეგად, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაბამისი სხვა რაიმე მიზნით გამოყენებისათვის. აუდიტის დასკვნა გამიზნულია მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და კომპანიის მიერ გამოსაყენებლად და ის არ უნდა იყოს წარდგენილი ნებისმიერი სხვა მხარისათვის. ჩვენ არ ვახდენთ ჩვენი დასკვნის მოდიფიცირებას აღნიშნული საკითხის გამო.

არსებითი განუზღვრელობა ფუნქციონირებადობის პრინციპთან დაკავშირებით

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების 22.2 მენიშვნაზე „დამოკიდებულება დამფუძნებლებისა და დაკავშირებული მხარეების სესხებზე“, სადაც აღწერილია კომპანიის დამოკიდებულება დამფუძნებლებისა და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ აქვს საკმარისი შემოსავლები, იგი საოპერაციო საქმიანობას აგრძელებს აღებული სესხების საფუძველზე, რის გამოც საფეხბურთო კლუბს გააჩნია დიდი მოცულობის სასესხო დავალიანებები.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები შეადგენს 11,800,957 და 10,071,218 ლარს. კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ განჭვრეტად მომავალში დამფუძნებლები გააგრძელებენ კომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროების შესაბამისად და მის საქმიანობას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, თუ კომპანიის მენეჯმენტის მოლოდინები დაკავშირებული მხარეების მხრიდან ფინანსური დახმარების გაგრძელებასთან დაკავშირებით ფაქტობრივად არ გამართლდება, მაშინ მოსალოდნელია, რომ კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელებას მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქროს, კომპანიის საქმიანობის სრული შეჩერების ჩათვლით.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხის გამო.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, რომელიც თან ახლავს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას და, ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების დებულებების მოთხოვნის შესაბამისად – „კლუბების ლიცენზირების დებულებები უფასო საკლუბო ტურნირში მონაწილეობისთვის“ პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნ-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების დამკვეთს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო მენეჯმენტის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გაკლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის და მასში შემავალი საწარმოების თუ ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციაზე იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ კომპანიის აუდიტის პროცესის მართვაზე და აუდიტის დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

21 მარტი 2025





კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი



ლიცენზიის მატყელები:

მშს იბერია 1999

ანგარიშების წელი

ბეელი წელი

31.12.T-1

31.12.T-2

საბალანსო უწყისი	2024	2023
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	10,249.00	151,824.00
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	5,664.00	95,138.00
სხვა დებიტორული დავალიანება	49,187.00	1,448,672.00
საგადასახადო აქტივები	-	31,641.00
მატერიალური მარაგები	135,838.00	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
მთლიანი მიმდინარე აქტივები	200,938.00	1,727,275.00
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	594,104.00	878,084.00
არამატერიალური აქტივები - მოთამაშები	-	-
არამატერიალური აქტივები - სხვა	-	-
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	-	-
საგადასახადო აქტივები	-	-
ინვესტიციები	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	663,593.00	765,792.00
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	1,257,697.00	1,643,876.00
მთლიანი აქტივები	1,458,635.00	3,371,151.00
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები	-	-
ბანკის და სხვა სესხები	11,800,957.00	7,678,248.00
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	2,392,970.00
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	-	-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	322,519.00	258,512.00
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	211,848.00	185,174.00
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი	1,021,595.00	2,928,353.00
მოკლევადიანი ანარიცხები	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	800,503.00	271,279.00
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	14,157,422.00	13,714,536.00
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები	-	-
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები	-	-
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	-	-
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ანარიცხები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	701,698.00	788,823.00
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	701,698.00	788,823.00
სულ ვალდებულებები	14,859,120.00	14,503,359.00
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	(13,400,485.00)	(11,132,208.00)
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	1,263,326.00	1,720,421.00
გაუნაწილებელი მოგება	(14,663,811.00)	(12,852,629.00)
სხვა რეზერვები	-	-
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	(13,400,485.00)	(11,132,208.00)



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი



ლიცენზიის მადიგებელი:

შპს იბერია 1999

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ბეჭდის წელი

31.12.T-2

საბალანსო უწყისი

2024

2023

მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები

1,458,635.00

3,371,151.00

კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)

TRUE

TRUE

მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება

მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი

(11,132,208.00)

(8,602,379.00)

პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ

(1,811,182.00)

(2,692,939.00)

კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში

(457,095.00)

163,110.00

ცვლილება გადაფასების რეზერვში

სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში

(13,400,485.00)

(11,132,208.00)

მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი

TRUE

TRUE

შემოწმება

მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები

დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში

88,750.00

88,750.00

პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი

დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად

88,750.00

88,750.00

დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს

მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია

დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში

88,750.00

88,750.00

პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა

დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად

-

-

გაუფასურების ანარიცხები პერიოდში

-

-

დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს

88,750.00

88,750.00

ნეტო საბალანსო დირეზულება

პერიოდის დასაწყისში

-

-

პერიოდის ბოლოს

-

-

შემოწმება

TRUE

TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და

სანქციონირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის:

21/03/2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: ვეფხვია ამირიძე

თარიღი:

21/03/2025





კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს იბერია 1999

ანგარიშგების წელი

31.12.T-1

ბეჭდის წელი

31.12.T-2

მოგება-ზარალის უწყისი	2024	2023
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - უფასო შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები		
ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები		
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	34,799.00	
სულ ამონაგები ბილეთებიდან	34,799.00	-
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე	633,898.00	300,000.00
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ სპონსორობა და რეკლამა	633,898.00	300,000.00
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები		
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	287,593.00	
სულ ტრანსლაციის უფლებები	287,593.00	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები		
კომერციული - საქონლის გაყიდვა		
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში		
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	491,768.00	460,827.00
სულ კომერციული	491,768.00	460,827.00
უფასო საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები		
უფასო საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი		
უფასო სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	3,164,922.00	236,783.00
სულ უფასო სოლიდარობის და საპრიზო თანხა	3,164,922.00	236,783.00
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან		
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	2,724,190.00	2,319,577.00
შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან		
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან		
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი		
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ სხვა შემოსავალი	2,724,190.00	2,319,577.00
სულ შემოსავალი	7,337,170.00	3,317,187.00
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(2,995,561.00)	(2,097,386.00)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(655,235.00)	(569,850.00)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(196,095.00)	(331,727.00)
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	(3,846,891.00)	(2,998,963.00)
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(1,950,012.00)	(1,348,905.00)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(570,655.00)	(430,234.00)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(2,520,667.00)	(1,779,139.00)
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(6,367,558.00)	(4,778,102.00)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(290,273.00)	(295,014.00)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)		



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მადიებელი:

შპს იბერია 1999

ანგარიშგების წელი

31.12.21

მველი წელი

31.12.22

მოგება-ზარალის უწყისი	2024	2023
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება		
სულ ცვლათა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	(290,273.00)	(295,014.00)
მატიჩის დღის ხარჯები		
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები	(186,457.00)	(146,520.00)
კომერციული აქტივობების ხარჯები		-
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები		-
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები	(504,648.00)	(204,169.00)
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები		-
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(1,961,693.00)	(1,628,813.00)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(2,652,798.00)	(1,979,502.00)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	(9,310,629.00)	(7,052,618.00)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		-
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		-
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	1,178,547.00	490,412.00
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		-
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვიდან		
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის შეთოდის გამოყენებით	1,178,547.00	490,412.00
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან		
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	(901,495.00)	(682,267.00)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	(901,495.00)	(682,267.00)
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	216,578.00	1,334,791.00
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	(331,353.00)	(100,444.00)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	(114,775.00)	1,234,347.00
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	(1,811,182.00)	(2,692,939.00)
დივიდენდები		
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	(1,811,182.00)	(2,692,939.00)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცირებულია

გამოსაცემად

[თარიღი]-თვის: 21/03/2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი:ვეფხვია ამირიძე

თარიღი: 21/03/2025





კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი



ლიცენზიის მატებული:

მსს იბერია 1999

ანგარიშების წელი

31.12.1-1

ბუღალტრული წელი

31.12.1-2

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	2024	2023
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(2,002,477.00)	(2,465,174.00)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,150,975.00	
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის გალკე გამოყოფილი	(33,956.00)	(43,562.00)
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	1,117,019.00	(43,562.00)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	1,940,035.00	2,134,803.00
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	(904,660.00)	(140,882.00)
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები	1,201,967.00	565,603.00
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	(959,363.00)	(1,037,865.00)
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები	(457,096.00)	(160,001.00)
(გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან		163,110.00
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც გალკე არ არის გამოყოფილი	(77,000.00)	
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	743,883.00	1,524,768.00

სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)

წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	(141,575.00)	(983,968.00)
--	--------------	--------------

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია

საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	151,824.00	1,135,792.00
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	(141,575.00)	(983,968.00)
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	10,249.00	151,824.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	10,249.00	151,824.00

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცონირებულია

გამოსაცემად

[თარიღი]-თვის: 21/03/2025

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის საბუღალტრო ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: ვეფხვია ამირიძე

თარიღი: 21/03/2025



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „საფეხბურთო კლუბი იბერია 1999“ (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც ახორციელებს საქმიანობას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების ფარგლებში. ორგანიზაცია დაფუძნდა 1999 წელს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საფეხბურთო საქმიანობა, ეროვნულ და საერთაშორისო საკლუბო ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება.

საფეხბურთო კლუბის მესაკუთრეთა წილები შემდეგნაირად ნაწილდება:

- კკატერინე ინასარიძე - 55%
- ლუკა თამაზაშვილი - 10%
- შპს სპორტ ინვესტი - 35%

საფეხბურთო კლუბის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები შპს სპორტ ინვესტის დამფუძნებლების სახით არიან შედეგი:

- კკატერინე ინასარიძე - 33.00%
- დავით ხეჩიკაშვილი - 67.00%

საფეხბურთო კლუბის წარმომადგენელი არის მისი დირექტორი ვეფხვია ამირიძე. საფეხბურთო კლუბის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, იოსებშიძის ქუჩა N50.

საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს. ამავე რეგულაციების შესაბამისად, კომპანია არ წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების პირს.

ბიზნეს გარემო

კომპანია ძირითად ბიზნეს საქმიანობას აწარმოებს საქართველოს ფარგლებში. საქართველო ხასიათდება განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლებით, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციით და მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

მენეჯმენტს არ შეუძლია განსაზღვროს ყველა ის მომავალი მოვლენა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ბიზნეს სექტორზე და ზოგადად ეკონომიკაზე, შესაბამისად, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის მდგრადი ვითარების მხარდასაჭერად.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ტრანზაქციები და ბალანსები კლასიფიცირებული, აღრიცხული და შეფასებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) მიხედვით, ხოლო ანგარიშგების წარდგენა მოხდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების დებულების - „კლუბების ლიცენზირების დებულებები უფას საკლუბო ტურნირში მონაწილეობისთვის“ ფორმატის შესაბამისად. ქვემოთ აღწერილია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და სხვა განმარტებითი შენიშვნები.

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს სრულ ფინანსურ ანგარიშგებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ასევე, არ მოიცავს იმ სრულ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით.

როგორც ნახსენებია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების დებულების 65-ე მუხლის მე-2 პუნქტში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიში მოიცავს:

- ბალანსს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (რომელიც შეიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის შესადარის ინფორმაციას);
- მოგება-ზარალის უწყისს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის (რომელიც შეიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის შესადარის ინფორმაციას).
- ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის (რომელიც შეიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის შესადარის ინფორმაციას).
- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებებით შენიშვნებს.

2.2 შეფასების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ მუხლებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების უნარი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის განგრძობითობის პრინციპის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ იგი უახლოეს მომავალში ფუნქციონირებას გააგრძელებს ჩვეული მასშტაბით. ივარაუდება, რომ არ მოხდება ლიცენზიის მაძიებლის ლიკვიდაცია, გაკოტრება ან კრედიტორების მიერ მათი მოთხოვნების გამოთხოვა იმაზე ადრე, ვიდრე ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ხდება, ისეთიანად, რომ ამან კომპანიას იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას, რომ მას საქმიანობის შეწყვეტა ან მნიშვნელოვნად შეკვეცა მოუწიოს.

2.4 ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა).

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს ხოლო ერთი ევროსთვის 2.9306 ლარს. (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს ხოლო ერთი ევროსთვის 2.9753 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შესყიდვის ფასს, იმპორტთან დაკავშირებულ გადასახადებს, გამოუქვითავ გადასახადებს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. როცა კომპანიის ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა არსებით კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთმანეთისგან

განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული მიზნებით ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, დაყენების/მონტაჟის, პროფესიული მომსახურების ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული დანახარჯები, აღრიცხულია დამოუკიდებლად და კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სპორტული მოედანი	- 15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 10 წელი
სპორტული ინვენტარი	- 3-8 წელი
საოფისე ავეჯი და აღჭურვილობა	- 4-7 წელი
კომპიუტერული და სხვა ტექნიკური მოწყობილობები	- 4-5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 8 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შემენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები შეიცავს ფეხბურთელებზე ლიცენზიებს. კომპანია გააფორმებული აქვს სატრანსფერო ხელშეკრულებები, ამორტიზაცია ფეხბურთელის ლიცენზიაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ერიცხება ფეხბურთელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ პერიოდზე გაანგარიშებით წრფივი მეთოდით, რომელიც დაახლოებით 1-დან 5 წლამდე პერიოდს მოიცავს. ლიცენზირების დასრულებისას, ხელშეკრულების მიხედვით სრულად გაცვეთილი ლიცენზიის აკუმულირებული თანხის გადახურვა ხდება მის ისტორიულ ღირებულებაზე.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით.

3.4 იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია განიხილავს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარა განისაზღვრება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის კონტროლის უფლების გადაცემას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით) კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია, როგორც მეიჯარე, გამოყოფს იჯარის ორ კლასს - საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებს.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, სხვა შემთხვევაში იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

კომპანია საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე, „საიჯარო შემოსავლის“ კატეგორიაში.

ფინანსური იჯარით აქტივის გაცემისას იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს ფინანსური იჯარით გადაცემულ აქტივებს როგორც მოთხოვნებს ფინანსური იჯარიდან, ნეტო საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. შემდგომში, იჯარის ვადის განმავლობაში, ფინანსური შემოსავალი ისეთი სქემის საფუძველზე აღიარდება, რომელიც ასახავს მეიჯარის ნეტო საიჯარო ინვესტიციის უკუგების მუდმივ (უცვლელ) პერიოდულ განაკვეთს.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულებით მოგება- ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განსაზღვრულია ორივე კრიტერიუმით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“ (ECL). ფასს 9-ის მოთხოვნების ფარგლებში შემავალი ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სხვა ვალის ტიპის ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, ერთმანეთისგან იმიჯნება:

- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია თანხების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება
- კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სასესხო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე.

სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯების გამოკლებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, ფინანსური საიჯარო ვალდებულება ფასდება ამ დღემდე გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტის გამოყენებით, რამდენადაც ეს პროცენტი უკვე ცნობილია, ან კომპანიის მიერ სესხების დისკონტირებისთვის გამოყენებული საპროცენტო განაკვეთით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას, როდესაც კომპანიამ შეასრულა ყველა ვალდებულება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც კომპანია არსებულ კრედიტორთან ცვლის ერთ სავალო ინსტრუმენტს მეორეში არსებითად განსხვავებული პირობებით, ასეთი გაცვლა აღირიცხება, როგორც საწყისი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. ანალოგიურად, კომპანია ითვალისწინებს არსებულ ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებით ცვლილებას, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას და ახალი ვალდებულების აღიარებას. პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება ახალი პირობებით, მათ შორის ნებისმიერი გადახდილი საკომისიო, მიღებული და დისკონტირებული ეფექტური განაკვეთის გამოყენებით, განსხვავდება მინიმუმ 10 პროცენტით დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისაგან თავდაპირველ ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების ღირებულება.

3.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

- 1 ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

3.7 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს წილის ნომინალურ ღირებულებას. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

3.8 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან ("მოგების გადასახადის ესტონური მოდელი") გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები მოგების გადასახადს იხდიან მოგების განაწილებისას (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული მოდელის გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის განსხვავების საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით კომპანიას არ წარმოექმნება.

3.9 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3.10 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.11 შემოსავლების აღიარება

საფეხბურთო კლუბი იბერია 1999-ის შემოსავალი მოდის შემდეგი ძირითადი წყაროებიდან:

- **ფეხბურთელების ტრანსფერები** – კლუბი იღებს შემოსავალს ფეხბურთელების გაყიდვის ან დროებითი იჯარით გაშვების შედეგად.
- **საფეხბურთო აკადემიის მომსახურება** – ახალგაზრდული ფეხბურთის პროგრამის მეშვეობით მიღებული შემოსავლები.
- **რეკლამა და სპონსორობა** – კომერციული პარტნიორების მიერ გადახდილი თანხები, რომლებიც კლუბის სახელისა და პლატფორმების გამოყენებას მოიცავს.
- **უძრავი ქონების იჯარა** – კლუბის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი.
- **ბილეთების გაყიდვა** – მატჩებზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები.
- **დონორების შემოწირულობები** – კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება.
- **FIFA/UEFA-სგან მიღებული დაფინანსება** – საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციების მიერ გაწეული გრანტები და სუბსიდიები.
- **GFF-ის (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის) დაფინანსება** – ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის მიერ კლუბისთვის გაწეული ფინანსური დახმარება.

შემოსავლის აღიარების პოლიტიკა:

ფეხბურთელების ტრანსფერები

- აღიარება ხდება ტრანსფერის ხელშეკრულების გაფორმებისა და ინვოისის გაცემის შემდეგ, იმ მომენტში, როდესაც ფეხბურთელის კონტრაქტი გადაეცემა სხვა კლუბს.
- თუ გადახდა ნაწილ-ნაწილ ხორციელდება, შემოსავალი სრულად აღირიცხება კონტრაქტის გადაცემის მომენტში, ხოლო გადაუხდელი თანხა დებიტორულ დავალიანებებში აისახება.

საფეხბურთო აკადემიის მომსახურება

- შემოსავალი აღიარებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხა რეალურად მიღებულია და ბანკში ასახულია.
- რეგისტრაციის პროცესში თანხის გადახდა აუცილებელია, რის შემდეგაც ხდება შემოსავლის აღიარება.
- დებიტორული დავალიანებები არ წარმოიქმნება, რადგან მომსახურება წინასწარ იხდინა.

რეკლამა და სპონსორობა

- შემოსავალი აღიარებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და იმ მომენტში, როდესაც შესაბამისი სერვისი სრულად შესრულებულია.
- თუ კონტრაქტი მოიცავს ხანგრძლივ თანამშრომლობას, შემოსავალი ნაწილობრივ აღირიცხება კონტრაქტის პერიოდში შესრულებული ვალდებულებების მიხედვით.

უმრავი ქონების იჯარა

- აღიარება ხდება იჯარის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, და შემოსავალი თანაბრად ნაწილდება იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ბილეთების გაყიდვა

- აღიარება ხდება ბილეთის რეალიზაციის მომენტში, რადგან მომსახურება (მატჩზე დასწრების უფლება) მომხმარებელს უკვე მიეწოდა.

დონორების შემოწირულობები

- აღიარება ხდება მიღების მომენტში, თუ თანხა არ უკავშირდება რაიმე კონკრეტული ვალდებულების შესრულებას.
- თუ შემოწირულობა კონკრეტული პროექტისთვისაა განკუთვნილი, შემოსავალი აღიარება ხდება პროექტის მიმდინარეობის შესაბამისად.

FIFA/UEFA-სგან მიღებული დაფინანსება

- აღიარება ხდება თანხის მიღების მომენტში, თუ დაფინანსება დაუბრუნებელი გრანტია და არ საჭიროებს კონკრეტული კრიტერიუმების შესრულებას.
- თუ დაფინანსება დაკავშირებულია კონკრეტული მიზნის მიღწევასთან (მაგ., ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება), შემოსავალი აღიარება ეტაპობრივად, ვალდებულების შესრულების შესაბამისად.

GFF-ის (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის) დაფინანსება

- თუ დაფინანსება არის ყოველწლიური საბაზისო დახმარება, აღიარება ხდება მიღების მომენტში.
- თუ დაფინანსება კონკრეტულ პროექტზეა მიზნული, შემოსავალი აღიარება პროექტის განხორციელების პროგრესის მიხედვით.

4 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	10,249	151,811
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	13
	10,249	151,824

5 სხვა დებიტორული დავალიანება

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სხვა დებიტორული დავალიანება	49,187	1,415,697
გადახდილი ავანსები	-	32,975

49,187	1,448,672
--------	-----------

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნისთვის განხილულია შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლები და მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ყველა აღიარებული მოთხოვნა და ავანსი სრულად ამოღებადი.

6 მატერიალური მარაგები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სხვა და სხვა სპორტული ინვენტარი	134,646	-
მედიკამენტები	1,192	-
	135,838	-

2

7 ძირითადი საშუალებები

ლარი	ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სპორტული ინვენტარი	საოფისე ავეჯი და აღჭურვილობა	კომპიუტერული და სხვა ტექნიკური მოწყობილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
<i>ღირებულება</i>							
31 დეკემბერი 2022	2,063,080	51,699	38,841	62,001	16,226	96,245	2,328,092
მატება	-	-	1,152	2,357	15	40,038	43,562
31 დეკემბერი 2023	2,063,080	51,699	39,993	64,358	16,241	136,283	2,371,654
მატება	8,585	-	8,584	4,711	1,389	10,685	33,954
გასვლა	(360,311)	-	(15,837)	(15,335)	(9,556)	-	(401,039)
31 დეკემბერი 2024	1,711,354	51,699	32,740	53,734	8,074	146,968	2,004,569
<i>დაგროვილი ცვეთა</i>							
31 დეკემბერი 2022	1,178,650	25,228	33,677	31,787	15,325	8,749	1,293,416
პერიოდის ცვეთა	169,667	5,170	2,779	9,878	60	12,600	200,154
31 დეკემბერი 2023	1,348,317	30,398	36,456	41,665	15,385	21,349	1,493,570
პერიოდის ცვეთა	169,847	5,170	3,074	1,105	415	8,460	188,071
ცვეთის აღმოფხვრა	(233,238)	-	(14,692)	(12,185)	(11,061)	-	(271,176)
31 დეკემბერი 2024	1,284,926	35,568	24,838	30,585	4,739	29,809	1,410,465
<i>ნარჩენი ღირებულება</i>							
31 დეკემბერი 2023	714,763	21,301	3,537	22,693	856	114,934	878,084
31 დეკემბერი 2024	426,428	16,131	7,902	23,149	3,335	117,159	594,104

3 კომპანიის არცერთი ქონება და აღჭურვილობა არ არის ჩადებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ანგარიშგების თარიღისათვის.

8 სხვა გრძელვადიანი აქტივები - აქტივის გამოყენების უფლება

ლარი	სპორტული მოედნები
ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბერი	1,016,834
2023 წლის 31 დეკემბერი	1,016,834
2024 წლის 31 დეკემბერი	1,016,834
დაგროვილი ცვეთა	
2022 წლის 31 დეკემბერი	149,122
წლის ცვეთა	101,920
2023 წლის 31 დეკემბერი	251,042
წლის ცვეთა	102,199
2024 წლის 31 დეკემბერი	353,241
საბალანსო ღირებულება	
2023 წლის 31 დეკემბერი	765,792
2024 წლის 31 დეკემბერი	663,593

9 ბანკისა და სხვა სესხები

კონტრაგენტი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	%	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შპს იბერია ავტო	ევრო	31-დეკ-25	9%	1,178,912	1,041,313
შპს იბერია ავტო	ლარი	31-დეკ-25	16 %	564,643	308,515
შპს კავკასიის ავტო ცენტრი	ლარი	30-მარ-24	15 %	-	120,601
შპს სპორტ სალერ ცენტრი	ლარი	31-დეკ-24	20 %	414,904	387,831
ტარიელ ხეჩიკაშვილი	ლარი	31-დეკ-24	18 %	373,812	534,710
შპს ივერმშენი	ლარი	31-დეკ-24	18 %	-	7,062
შპს სოლემარტი	ლარი	31-დეკ-23	18 %	-	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	ლარი	31-დეკ-24	20 %	7,298,804	6,153,580
ვითიბი ბანკი	ევრო	01-აგვ-25	10 %	1,451,679	1,341,057
ვითიბი ბანკი	ლარი	13-სექ-24	3%	-	100,691

ფ/ვ დავით ფერაძე	დოლარი	31-დეკ-24	12 %	49,620	75,858
შპს მასტერანი	ლარი	31-დეკ-25	12 %	216,730	-
საქვეანგარიშოდ გაცემული	ლარი	31-დეკ-25	13 %	251,853	-
ჯამი				11,800,957	10,071,218

შემდგომი ცხრილი ასახავს ჩაშლას ძირისა და ძირზე დარიცხული გადასახდელი პროცენტების მიხედვით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი ძირი	6,143,259	5,169,885
გადასახდელი პროცენტი	5,657,698	4,901,333
	11,800,957	10,071,218

10 სხვა მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საიჯარო ვალდებულება	958,879	1,035,827
ბიუჯეტში გადასახდელები გარდა საშემოსავლო გადასახადისა	543,322	24,275
	1,502,201	1,060,102
ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	257,181	247,005
გრძელვადიანი	701,698	788,822
	958,879	1,035,827

კომპანიას აქვს იჯარით აღებული სპორტული მოედნები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება.

ჩვეულებრივ, ყველა საიჯარო ხელშეკრულება ზღუდავს საიჯარო ფართის ქვეიჯარით გაცემის შესაძლებლობას, თუკი არ არის კონკრეტულად ჩანაწერი რომ კომპანიას შეუძლია ფართის გაცემა ქვეიჯარით. იჯარის ხელშეკრულებები არის ან შეწყვეტის უფლების გარეშე, ან შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი ჯარიმის გადახდით. ზოგიერთი საიჯარო ხელშეკრულება მოიცავს იჯარის ვადის გაგრძელების ოფციასაც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივობებს ბუნებას, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით.

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი (წელი)	საშუალო დარჩენილი იჯარის ვადა (წელი)	იჯარების რაოდენობა ვადის გაგრძელების უფლებით
-------------------------------	---------------------------------------	-------------------------------------	--	--

სპორტული მოედანი				
(ეკონომიკის სამინისტრო)	1	10 წელი	10 წელი	1
სპორტული მოედანი				
(საჯარო სკოლა 161)	1	2 წელი	2 წელი	1

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირად:

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
<i>ერთ წლამდე პერიოდი</i>		
საიჯარო გადახდები	350,134	350,106
ფინანსური ხარჯები	(92,953)	(103,102)
	<u>257,181</u>	<u>247,004</u>
<i>2-5 წლამდე პერიოდში</i>		
საიჯარო გადახდები	645,037	705,088
ფინანსური ხარჯები	(338,326)	(377,806)
	<u>306,711</u>	<u>327,282</u>
<i>ხუთი წლის შემდეგ</i>		
საიჯარო გადახდები	510,024	630,001
ფინანსური ხარჯები	(115,037)	(168,460)
	<u>394,987</u>	<u>461,541</u>
წმინდა დღევანდელი ღირებულება	<u>958,879</u>	<u>1,035,827</u>

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად:

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარისთვის. ამგვარად საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

ლარი	2024	2023
საოპერაციო იჯარა	461,616	194,282

4

11 საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის პერიოდში დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა კლუბის საწესდებო კაპიტალის ცვლილება, კერძოდ კი, მისმა დამფუძნებელმა და ეკატერინე ინასარიძემ კომპანიის საწესდებო კაპიტალიდან გაიტანა 457,096 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით განხორციელდა საწესდებო კაპიტალის ზრდა 163,110 ლარით. კაპიტალის ზრდა განხორციელდა კომპანიის ერთ ერთმა დამფუძნებელმა ეკატერინე ინასარიძემ.

12 ტელეტრანსლაციის უფლებები

FC Iberia 1999 გადასცემს GreenFieldSolutions Sarl-ს ექსკლუზიურ მედია, სტრიმინგის, სარეკლამო და მონაცემთა ბეთინგის უფლებებს UEFA-ს კონფერენს ლიგის 2024/25 სეზონის საკვალიფიკაციო ეტაპის

მატჩებისთვის (მსოფლიო მასშტაბით, საქართველოს გამოკლებით). ფინანსური პირობები მოიცავს 2,500 ევრო თითოეულ მატჩზე (პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი) და 80,000 ევრო მინიმალურ გარანტიას (მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი), სადაც შემოსავლის განაწილება ხდება 75% - Iberia 1999 | 25% - GreenFieldSolutions Sarl.

სარეკლამო დრო (20 წუთი) იყოფა ქართული სპონსორებისთვის (10 წუთი), "Roletto"-სთვის (10 წუთი), ხოლო დარჩენილი დრო თურქეთის ბაზრისთვის. მაუწყებლობის ორგანიზება სრულად Licensee-ს ეკისრება, მხარეებს შეუძლიათ თანამშრომლობის გაგრძელება ურთიერთსასარგებლო პირობების საფუძველზე, ხოლო Licensor ვალდებულია ყველა მესამე პირის შეთავაზება გადაუზაგნოს Licensee-ს.

13 უფასო სოლიდარობა, საპრიზოები

თბილისის „იბერია 1999“ მონაწილეობს 2024/25 წლების სეზონის უფასო-ს კონფერენციის ლიგაში, რაც კლუბისთვის ფინანსურ სარგებელს მოიცავს. უფასო-ს წესების თანახმად, ევროტურნირებში მონაწილე კლუბები იღებენ სხვადასხვა სახის ფინანსურ პრიზებს, რომლებიც დამოკიდებულია ტურნირში მიღწეულ შედეგებზე, რეიტინგზე და მარკეტინგულ წილზე.

ამგვარად, „იბერია 1999“ მიიღებს ფინანსურ სარგებელს უფასო-ს ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რაც ხელს უწყობს ევროპულ ფეხბურთს.

14 კომერციული - სხვა, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი

ლარი	2024	2023
შემოსავალი აკადემიიდან	350,069	308,113
საიჯარო შემოსავალი	141,699	152,714
	491,768	460,827

5

15 სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფეხბურთის განვითარების პროექტის ფარგლებში, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან მიღებულ დაფინანსების თანხას.

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან 2024 და 2023 ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო 2,724,190 და 2,319,577 ლარით, შესაბამისად.

16 ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი

ლარი	2024	2023
ფეხბურთელების შეკრების ხარჯები	31,025	65,133
სამედიცინო მომსახურება	157,229	97,520
სხვა	7,841	169,074
	196,095	331,727

17 უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები

ლარი	2024	2023
იჯარა	461,616	194,282

მიმდინარე რემონტი	43,032	9,887
	504,648	204,169

18 სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არაა გამოყოფილი

ლარი	2024	2023
მივლინების ხარჯი	1,062,311	635,456
საკონსულტაციო ხარჯი	252,332	133,581
სპორტული ინვენტარი	141,994	175,449
ლიცენზიები და საწევრო მოსაკრებელი	138,324	80,227
კომუნალური გადასახადები	63,502	70,462
საოფისე ხარჯი	33,076	5,434
საგადასახადო ხარჯი	32,315	10,136
ტრანსფერთან დაკავშირებული ხარჯი	22,712	-
ბანკის საკომისიო	16,776	11,546
წარმომადგენლობითი ხარჯები	11,717	13,742
საწვავის ხარჯები	6,964	5,881
კომუნიკაციის ხარჯი	5,754	6,304
ავტომაქსის შეკეთება	2,411	1,721
კომპიუტერული ხარჯი	1,069	1,291
სხვა ხარჯები	170,436	477,583
	1,961,693	1,628,813
	1,062,311	635,456

6

19 მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)

კომპანია აღიარებს მოგებას გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან, რომელიც ძირითადად უკავშირდება ფეხბურთელების რეგისტრაციის უფლებების გადაცემას. აღნიშნული მოგება წარმოიქმნება იმ კომპენსაციის მიღებით, რომელიც კომპანია სხვა კლუბებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე იღებს მოთამაშეთა ტრანსფერებისთვის.

ამ ტიპის შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც კონტროლი გადაეცემა უფლებების შემდეგ კლუბს, IFRS 15 შემოსავალი ხელშეკრულებებიდან მომხმარებლებთან სტანდარტის შესაბამისად, თუ ტრანზაქცია აკმაყოფილებს შემოსავლის აღიარების მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ გარიგება იჯარის ელემენტებს მოიცავს, მისი აღიარება ხდება IFRS 16 იჯარა-ს მიხედვით. აღიარების პროცესში გათვალისწინებულია ხელშეკრულების პირობები, შესრულებული ვალდებულებები და კომპენსაციის მიღება.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფეხბურთელების ტრანსფერებიდან მიღებულ საკომპენსაციო შემოსავალმა შეადგინა 1,178,547 ლარი და 490,412 ლარი, შესაბამისად.

20 ფინანსური ხარჯი

ლარი	2024	2023
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	361,258	144,398
ვი თი ბი ბანკი	156,592	177,765
შპს იბერია ავტო ცენტრი	144,038	96,538

საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	103,102	112,068
ტარიელ ხეჩიკაშვილი	65,342	59,151
შპს სპორტ სალერ ცენტრი	27,073	26,999
დაკავშირებული მხარე ფიზიკური პირისგან მიღებული ფულადი სახსრები	26,588	-
სესხი%შპს კავკასიის ავტოცენტრი	10,251	15,002
დავით ფერაძე	5,520	8,622
შპს მასტერინი	1,731	-
შპს ავეკო ტრედიინგი	-	41,724
შპს სოლემარტი	-	-
	901,495	682,267

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ დაფიქსირებულა ისეთი მოვლენები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან გამჟღავნებას, რაც გავლენას მოახდენს კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე საანგარიშგებო წლის მდგომარეობით.

22 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

22.1 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია აფასებს და ვარაუდებს გამოთქვამს მომავალთან დაკავშირებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან. შეფასებებსა და დაშვებებს რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებაზე მომდევნო ფინანსურ წელს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ პერიოდულად გადახედავს ხოლმე კომპანიის ძირითადი საშუალებების დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადებს და თუ საჭიროა, ცვლის მათ. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავებული აღმოჩნდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაცია შესაძლოა არსებითად შესაცვლელი იყოს. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათი შეფასებები არსებითად სწორია და აქტივები იმ ვადით იქნება გამოყენებული, როგორადაც ეს ამჟამადაა შეფასებული.

22.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

დამოკიდებულება დამფუძნებლებისა და დაკავშირებული მხარეების სესხებზე

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკუმულირებული ზარალი შეადგენს 14,663,811ლარს (2023 წლის დეკემბერი: 12,852,629 ლარი). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 70-ჯერ აღემატება. კომპანიამ 2024 საანგარიშგებო პერიოდი ზარალით (1,811,182 ლარი) დაასრულა.

კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაფინანსდეს ყოველდღიური ოპერაციები და კაპიტალური ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასთან და ახალი აქტივების შექმნასთან. კომპანიის საქმიანობა ძირითადად

უზრუნველყოფილია კომერციული ბანკებისა და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებით (შენიშვნა 9), ასევე უეფასა და საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფინანსებით.

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 2024 წელს დამატებით მიიღო 1,332,284 ლარის ოდენობის სესხი დაკავშირებული მხარეებისგან და 1,940,035 ლარის ოდენობით სესხი ფიზიკური პირისგან. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში სესხების საბოლოო ნაშთმა კი 11,800,958 ლარი შეადგინა. ამასთან კომპანია მოელის, რომ შემდგომ პერიოდებში გააფორმებს დაკავშირებულ მხარეებთან ახალ სასესხო ხელშეკრულებებს.

კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ განჭვრეტად მომავალში დამფუძნებლები გააგრძელებენ კომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროების შესაბამისად და მის საქმიანობას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, თუ კომპანიის მენეჯმენტის მოლოდინები დაკავშირებული მხარეების მხრიდან ფინანსური დახმარების გაგრძელებასთან დაკავშირებით ფაქტობრივად არ გამართლდება, მაშინ მოსალოდნელია, რომ კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელებას მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქროს, კომპანიის საქმიანობის სრული შეჩერების ჩათვლით.

23 ფინანსური ინსტრუმენტები

23.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.5-ში.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	54,850	1,543,807
ფული და ფულის ეკვივალენტები	10,249	151,824
მთლიანი ფინანსური აქტივები	65,099	1,695,631

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სასესხო ვალდებულებები	11,800,957	10,071,215
საიჯარო ვალდებულებები	958,879	1,035,827
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,343,584	3,186,335
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	14,103,420	14,293,377

24 პირობითი მუხლები და განუსაზღვრელობები

24.1 გადასახადები

გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს. ეს თავის მხრივ დაკავშირებულია განსხვავებულ ინტერპრეტაციებთან. ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი.

მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

24.2 მიღებული სესხები

კლუბმა 2011 წელს უცხოური კომპანიისგან მიიღო სესხი. 2013 წლიდან კლუბმა მსესხებელთან კონტაქტის შეუძლებლობის გამო შეწყვიტა სასესხო ვალდებულების გადახდა, თუმცა აგრძელებდა ფინანსურ ანგარიშგებაში სესხის აღიარებას და კონტრაქტით განსაზღვრული პროცენტის დარიცხვას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუკი მოხდებოდა ამ სესხის კვლავ აღიარება და მასზე პროცენტის დარიცხვა მაშინ სესხის ძირი თანხა იქნებოდა 320,931 ლარი, ხოლო პროცენტი - 681,091 ლარი.

რამდენადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიის მენეჯმენტი 2013 წლიდან ვეღარ ახერხებს ვერანაირ კონტაქტს გამსესხებელთან და არც ის დაკავშირება რაიმე მოთხოვნით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული სესხის თანხა აღარ აკმაყოფილებს არც ბალანსში ვალდებულებად აღიარების და არც ანარიცხის კრიტერიუმებს, რადგან ძალიან პატარაა ალბათობა, რომ კომპანიის ამ სესხის დაბრუნება მოუწიოს. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეწყდა ბალანსში ვალდებულების აღიარება და მენეჯმენტი მას მიიჩნევს მხოლოდ პირობით ვალდებულებად და შესაფერის ინფორმაციას ამჟღავნებს ამ განმარტებით

25 ფინანსური საქმიანობიდან ვალდებულებების შეჯერება

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

ლარი	საიჯარო ვალდებულებები	მიღებული სესხები	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი	1,035,775	10,071,215	11,106,990
ფულადი ნაკადები			
მიღება	-	3,142,002	3,142,002
პროცენტის გადახდა	(103,050)	(17,596)	(120,646)
დაფარვა	(76,947)	(1,864,023)	(1,940,970)
არაფულადი ცვლილებები:			
დებიტორთან დანეტება	-	(550,000)	(550,000)
დარიცხული პროცენტი	103,101	798,394	901,495
ზარალი საკურსო სხვაობებიდან	-	(4,299)	(4,299)
სხვა არაფულადი ცვლილება	-	225,264	225,264
2024 წლის 31 დეკემბერი	958,879	11,800,957	12,759,836

26 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარებს წარმოადგენენ მისი მფლობელები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვა დანარჩენი პირები, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

27 საკონტროლო ურთიერთობები

საფეხბურთო კლუბის მესაკუთრეთა წილები შემდეგნაირად ნაწილდება:

- ეკატერინე ინასარიძე - 55%
- ლუკა თამაზაშვილი - 10%
- შპს სპორტ ინვესტი - 35%

საფეხბურთო კლუბის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები შპს სპორტ ინვესტის დამფუძნებლების სახით არიან შედეგი:

- ეკატერინე ინასარიძე - 33.00%
- ტარიელ ხეჩიკაშვილი - 67.00%

28 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ლარი ოპერაციები	2024 წელი	2023 წელი
ოპერაციები დამფუძნებლებთან		
კაპიტალის შემცირება	457,096	163,110
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან		
მიღებული სესხები	1,940,035	2,134,803
გადახდილი სესხები	904,660	140,882
საპროცენტო ხარჯები	569,208	300,087
უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი შრომის ანაზღაურება	178,852	138,774
ლარი ნაშთები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაშთები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან		
მიღებული სესხები	1,940,035	2,392,970
სხვა მოთხოვნები	5,663	95,138

ვეფხვია ამირიძე
დირექტორი
2025 წლის 21 მარტი